



№ 25107/31

30/10/2018

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მ. ჭანუყვამის, ა. ყაზაიშვილის, ბ. გობრონიძის, გ. ღურჯუმელიძის, მ. შილაკაძისა
და ი. გაგუას
ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ - პრეზიდიუმი) შემდეგი
შემადგენლობით:

1. ერეკლე მექვაბიშვილი - გენერალური აუდიტორი;
2. ეკატერინე ლაზაძე - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. დავით გოგიჩაიშვილი - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
4. ზაზა შეყილაძე - სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
5. ნატო ზაალიშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
6. სოფიო დვალიშვილი - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. ირაკლი წიწილაშვილი - ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. გიორგი კვეციანიშვილი - საერთო დანიშნულებების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
9. ცოტნე ქარქაშაძე - სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
10. გიორგი გაჩეჩილაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
11. დავით შავგულიძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამსახურის უფროსი.

საჩივრის ავტორი:

მერაბ ჭანუყვამე, არჩილ ყაზაიშვილი, ბადრი გობრონიძე, გიორგი ღურჯუმელიძე, მიხეილ შილაკაძე, ირაკლი გაგუა.

დავის საგანი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 14 სექტემბერს დამტკიცებული „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის შესახებ“ აუდიტის N63/36 ანგარიში.

I

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2018 წლის 5 ოქტომბერს ადმინისტრაციული საჩივრით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N13342/29) მომართეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოფილმა თანამშრომლებმა - მ. ჭანუყვამემ, ა. ყაზაიშვილმა, ბ. გობრონიძემ, გ. ღურჯუმელიძემ, მ. შილაკაძემ და ი. გაგუამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 14 სექტემბერს დამტკიცებულ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის შესახებ“ აუდიტის N63/36 ანგარიშში ცვლილებების განხორციელების მოთხოვნით.

პრეზიდუმის 2018 წლის 10 ოქტომბრის სხდომის საოქმო ჩანაწერით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N13453/30), ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად მიღების ეტაპზე „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, მ. ჭანუყვამეს, ა. ყაზაიშვილს, ბ. გობრონიძეს, გ. ღურჯუმელიძეს, მ. შილაკაძეს და ი. გაგუას მიეცათ შესაძლებლობა, 5 დღის ვადაში წერილობით წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2018 წლის 22 ოქტომბერს შემოვიდა მ. ჭანუყვამის, ა. ყაზაიშვილის, ბ. გობრონიძის და გ. ღურჯუმელიძის წერილობითი მოსაზრებები (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N18333/01) ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად მიღების თაობაზე, ხოლო მ. შილაკაძეს და ი. გაგუას ამ საკითხზე მოსაზრებები არ წარმოუდგენიათ. ამასთანავე, საქმეში არსებული მასალების თანახმად, მ. ჭანუყვამემ მოსაზრება წარმოადგინა განსაზღვრული ვადის (5 დღე) დარღვევით: პრეზიდუმის 10.10.2018 N13453/30 საოქმო გადაწყვეტილება მას ჩაბარდა 2018 წლის 12 ოქტომბერს, ხოლო მისი მოსაზრება სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოდგენილი იქნა 2018 წლის 22 ოქტომბერს (ფოსტაში ჩაბარების თარიღი - 19.10.2018).

II

სამოტივაციო ნაწილი:

პრეზიდუმი, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ განუხილველად დარჩეს მ. ჭანუყვამის, ა. ყაზაიშვილის, ბ. გობრონიძის, გ. ღურჯუმელიძის, მ. შილაკაძისა და ი. გაგუას 2018 წლის 5 ოქტომბრის ადმინისტრაციული საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N13342/29), შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში აუდიტის ანგარიშზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ამ კანონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ამდენად, აუდიტის ანგარიშზე შეტანილი საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლებამოსილების დადგენა.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტს უფლება აქვს გაასაჩივროს აუდიტის ანგარიში ამ კანონით დადგენილი წესით.

ამავე კანონის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად:

„1. აუდიტის ობიექტები, რომლებიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, არიან ადმინისტრაციული ორგანოები, უფლებამოსილი არიან, სახელმწიფო

აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

2. აუდიტის ობიექტები, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებისა, უფლებამოსილი არიან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში – კანონით დადგენილი წესით.“.

აუდიტის ობიექტის ცნებას განმარტავს „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი არის პირი, ორგანო, ორგანიზაცია ან/და დაწესებულება, რომელზედაც ვრცელდება ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება.

პირთა წრე, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება, განსაზღვრულია აღნიშნული კანონის მე-17 მუხლში, რომლის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ვრცელდება, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის აუდიტორული გეგმით განისაზღვრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აუდიტის ჩატარება, რომლის საფუძველზე განხორციელებული აუდიტის შედეგად დამტკიცდა აუდიტის ანგარიში „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის შესახებ“.

აღნიშნულ აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებულ საჩივარს, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყოფილი თანამშრომლების მიერ არის წარმოდგენილი, არ ახლავს აუდიტის ობიექტის - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველს, ვინაიდან „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი გასაჩივრების უფლებას ანიჭებს იმ აუდიტის ობიექტებს, რომლებიც არ არიან ადმინისტრაციული ორგანოები და ამავე კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით და მე-17 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ფიზიკურ პირებს წარმოადგენენ.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორთა მოსაზრება მოცემულ საკითხზე დაუსაბუთებელია და აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის ფიზიკური პირი აუდიტის ობიექტად შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი, როგორც კერძო პირის, საქმიანობა დაკავშირებულია საჯარო რესურსების მართვასთან. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ფიზიკური პირის საქმიანობა საჯარო რესურსებთან მიმართებაში ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება, აუდიტის ობიექტად განიხილება ის ორგანო, ორგანიზაცია ან/და დაწესებულება, რომელზედაც ვრცელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში აუდიტის ობიექტს წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, რომლის სახელით აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის უფლება აქვს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, რაც საჩივრის ხელმომწერ პირებთან მიმართებაში არ დასტურდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორები „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ უფლებამოსილ პირებს არ წარმოადგენენ.

პრეზიდენტი ასევე მიუთითებს, რომ უსაფუძვლოა საჩივრის ავტორების მოსაზრება, რომ სადავო აუდიტის ანგარიში, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უშუალო და პირდაპირ გავლენას ახდენს მათ კანონიერ ინტერესებზე, რის გამოც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ, რომელსაც ამავე კოდექსის თანახმად, უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოითხოვოს დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მისი შეცვლა.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აუდიტის ანგარიში ამ კანონის საფუძველზე განხორციელებული აუდიტორული

საქმიანობის შედეგია, რომელიც აუდიტის ობიექტთან დაკავშირებით გამოიცემა და მისი საქმიანობის შემოწმება, შეფასებასა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების გაცემას მოიცავს.

პრეზიდენტი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება მაშინ შეიძლება იქნეს მიჩნეული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, როდესაც ეს ქმედება სამართლებრივი მოწესრიგებისკენ არის მიმართული. სამართლებრივ მოწესრიგებას კი ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განხორციელებული ღონისძიება ცალმხრივად და შესასრულებლად სავალდებულო ძალით (პირდაპირ) წარმოშობს უშუალო სამართლებრივ შედეგს, რომელიც დაინტერესებული მხარის კანონიერი ინტერესის მიმართ კონკრეტული შედეგების დადგომისკენ არის მიმართული, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის და არ დასტურდება საჩივრის ავტორთა კანონიერი ინტერესებისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების ფაქტი აუდიტის ანგარიშის გამოცემით. ამდენად, საჩივრის ავტორთა ინტერესი მათ მიერ დაწყებული ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტისადმი დაუსაბუთებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ 2018 წლის 5 ოქტომბრის ადმინისტრაციული საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N13342/29) არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს, ვინაიდან შეტანილია არაუფლებამოსილი პირების მიერ.

III

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით, 27-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით,

პრეზიდენტმა გადაწყვიტა:

1. მ. ჭანუყვამის, ა. ყაზაიშვილის, ბ. გობრონიძის, გ. ლურჯუმელიძის, მ. შილაკაძისა და ი. გაგუას 2018 წლის 5 ოქტომბრის ადმინისტრაციული საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N13342/29) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 14 სექტემბერს დამტკიცებული „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის შესახებ“ აუდიტის N63/36 ანგარიშის თაობაზე დარჩეს განუხილველი.

2. გადაწყვეტილება გასაცნობად გადაეცეთ მხარეებს.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი



ეკატერინე ღაზაძე
გენერალური აუდიტორის მოადგილე



დავით გოგიჩაიშვილი
გენერალური აუდიტორის მოადგილე




ნატო ზაალიშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



ზაზა შევილაძე
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი



ირაკლი წიწილაშვილი

ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი




გიორგი კეკელიშვილი

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სახელმწიფო
ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ცოტნე ქარქაშაძე



გიორგი გაჩეჩილაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და
ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ინფორმაციული
ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების
დეპარტამენტი / ინფორმაციული ტექნოლოგიების
აუდიტის სამსახური
სამსახურის უფროსი
დავით შავგულიძე

